პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

585
1974/2

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 9 (404)

1974 წლის სექტემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 9 (404) სექტემბერი 1974 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

168. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წითელწყაროს რაიონის კასრისწყლის სასოფლო საბჭოს ახმეტის რაიონის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ.

169. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წალენჯიხის რაიონის სახალხო მოსამართლის ი. ი. გეთიას გათავისუფლებისა და ახალი სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ.

170. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ხაშურის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ.

171. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

172. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ.

173. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სასოფლო აღმასრულებელთა შესახებ“ სრულიად საქართველოს ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 დეკემბრის დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

174. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.

175. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მიწის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების საქმეში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ.

### განყოფილება მეორე

176. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწალებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

... მარქსის სახ. სა. ბ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

177. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
178. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
179. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
180. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
181. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აფხაზეთის ასსრ მხატვრული კოლექტივების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
182. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „ქიათურის მაღაროელის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
183. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ქ. მ. ბარამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
184. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ლ. ე. გორგილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
185. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ მ. ნ. მრევლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
186. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. გ. ფეოდოროვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
187. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ გ. გ. ცაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
188. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ გ. მ. ცეცხლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
189. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ფ. ი. ხარშილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**168** წითელწყაროს რაიონის კასრისწყლის სასოფლო საბჭოს ახმეტის რაიონის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოეყოს წითელწყაროს რაიონს კასრისწყლის სასოფლო საბჭო და გადაეცეს ახმეტის რაიონს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში.

კასრისწყლის სასოფლო საბჭოს ტერიტორიიდან წითელწყაროს რაიონულ საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდეთ რწმუნებანი ახმეტის რაიონულ საბჭოში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1974 წლის 18 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**169** წალენჯიხის რაიონის სახალხო მოსამართლის ი. ი. გეთიას გათავისუფლებისა და ახალი სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გათავისუფლდეს ამხ. ივანე იასონის ძე გეთია წალენჯიხის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

2. საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების საფუძველზე დაინიშნოს წალენჯიხის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1974 წლის ოქტომბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 19 სექტემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**170** ხაშურის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად დაინიშნოს ხაშუ-

№ 9 ეროვნული ბიბლიოთეკა

რის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1974 წლის 6 ოქტომბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 19 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 171 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„ნარკომანიასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 25 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1) კოდექსის 252-ე, $252^1$-ე, $252^3$-ე და 253-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 252. ნარკოტიკულ, სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება**

ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა გასაღების მიზნით, აგრეთვე უკანონო გასაღება,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

იგივე ქმედობა ჩადენილი განმეორებით, ან წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ერთ-ერთი დანაშაული, გათვალისწინებული ამ კოდექსის $252^1$-ე მუხლის პირველი მეორე და მესამე ნაწილებით, $252^3$-ე, $252^5$-ე და 253-ე მუხლებით, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, აგრეთვე თუ ეს ქმედობა ეხებოდა ნარკოტიკულ ნივთიერებებს დიდი ოდენობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა გასაღების მიზნის გარეშე, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

იგივე ქმედობა ჩადენილი განმეორებით ან იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ერთ-ერთი დანაშაული, გათვალისწინებული ამ მუხ-

ლის პირველი და მეორე ნაწილებით, $252^1$ მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით, $252^3$-ე, $252^5$-ე და 253-ე მუხლებით, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოების, შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემის, გადაზიდვის ან გადაგზავნის დადგენილი წესების დარღვევა,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ.

ძლიერმოქმედ და შხამიან არანარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ძლიერმოქმედ და შხამიან არანარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოების, შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემის, გადაზიდვის და გადაგზავნის დადგენილი წესების დარღვევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

### მუხლი $252^1$ ნარკოტიკულ და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცება

ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ან წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, ან ძალადობის გამოყენებით, რომელიც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ან იმ პირის მიერ, რომელსაც ნარკოტიკული ნივთიერება ებარა სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით ან დასაცავად, ასევე იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ერთ-ერთი დანაშაული, გათვალისწინებული ამ კოდექსის 252-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, $252^3$-ე, $252^5$-ე და 253-ე მუხლებით,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან უამისოდ.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან ყაჩაღური თავდასხმით, ან დიდი ოდენობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით.

ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა გატაცება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ან წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, ან დიდი ოდენობით, ან ძალადობის გამოყენებით, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„მუხლი 252³. ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიება**

ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი ორი ან მეტი პირის ან არასრულწლოვანის მიმართ, ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე სამართალშია ნამყოფი ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიებისათვის, ან წინათ ჰქონდა ჩადენილი ერთ-ერთი დანაშაული, გათვალისწინებული ამ კოდექსის 252-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 252¹-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით, 252⁵-ე და 253-ე მუხლით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე“.

**„მუხლი 253. ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი ისეთი კულტურების დათესვა და მოყვანა, რომელთა მოყვანა აკრძალულია**

ხაშხაშის, ინდური, სამხრეთ მანჯურიის ან სამხრეთ ჩუის კანაფის დათესვა ან მოყვანა, ან ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი სხვა ისეთი კულტურების დათესვა და მოყვანა, რომელთა მოყვანა აკრძალულია, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით, ან იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ერთ-ერთი დანაშაული, გათვალისწინებული ამ კოდექსის 252 ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 252¹-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით, 252³-ე და 252⁵-ე მუხლით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე“.

2) დაემატოს კოდექსს შინაარსის 252⁵-ე მუხლი.

**„მუხლი 252⁵. ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარების ბუნაგის მოწყობა ან შენახვა**

ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარების ბუნაგის მოწყობა ან შენახვა ან ამ მიზნებისათვის სადგომის მიცემა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ“.

3) 230-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 230. გარყვნილების ბუდის შენახვა და მაჭანკლობა**

გარყვნილების ბუნაგის შენახვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე;“

4) 205-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „ამ კოდექსის 242²-ე მუხლით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „252-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით და 252¹-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით“;

5) 206-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „ამ კოდექსის 242²-ე მუხლით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „252-ე მუხლის მეორე ნაწილით და 252¹-ე მუხლის მესამე ნაწილით“;

6) ამოღებულ იქნეს 236-ე მუხლიდან სიტყვები: „ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

7) მე-$8^{1}$ მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადება, შეძენა ან შენახვა გასაღების მიზნით, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღება (252-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები); ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება გასაღების მიზნით ($252^{1}$-ე მუხლი)“ შეიცვალოს სიტყვებით: „ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება დამამძიმებელ გარემოებებში, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღება ან გასაღების მიზნით ჩადენილი გატაცება, დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა, (252-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, $252^{1}$ მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები);

8) ამოღებულ იქნეს მე-12 მუხლის მეორე ნაწილიდან სიტყვები „გასაღების მიზნით ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების, შეძენის, ან შენახვის, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღებისათვის (252-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)“;

9) 44-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები: „გასაღების მიზნით ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების, შეძენის და შენახვისათვის, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღებისათვის (252-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)“ შეიცვალოს სიტყვებით „ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცების, დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნისათვის გასაღების მიზნით, ამ ნივთიერებათა გასაღებისათვის, აგრეთვე ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (252-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილები, $252^{1}$ მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები)“;

10) $54^{1}$-ე მუხლის მესამე პუნქტში ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობისათვის (230-ე მუხლის პირველი ნაწილი)“ და სიტყვები: „გასაღების მიზნით ჩადენილი ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცების, დამზადების, შეძენისა და შენახვისათვის, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღებისათვის (252-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები, მუხლი $252^{1}$)“ შეიცვალოს სიტყვებით: „ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცების, დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნისათვის გასაღების მიზნით, ან ამ ნივთიერებათა გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში; ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (252-ე მუხლის მეორე ნაწილი და $252^{1}$ მუხლის მეორე და მესამე ნაწილები)“;

11) 55-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობისათვის (230-ე მუხლის პირველი ნაწილი)“ და „გასაღების მიზნით ჩადენილი ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცების, დამზადების, შეძენის ან შენახვისათვის, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღებისათვის (252-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები, მუხლი $252^{1}$)“.

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 88-ე და 376-ე მუხლებში ციფრები „252-ე III და IV ნაწილები“ შეიცვალოს ციფრებით „252-ე I და II ნაწილები“.

3. შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სსრ კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 6, მუხ. 101):

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) დაემატოს კანონს შემდეგი შინაარსის 61[1] მუხლი:

„მუხლი 61[1]. ნარკომანიით დაავადებულთა მკურნალობა

ნარკომანიით დაავადებული პირი ვალდებულია იმკურნალოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში.

თუ ავადმყოფი თავს არიდებს ასეთ მკურნალობას, სავალდებულოა მისი გაგზავნა იძულებითი მკურნალობისათვის სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში.

სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში გაგზავნის წესსა და იქ ყოფნის რეჟიმს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა";

2) კანონის 62-ე მუხლის სათაურიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „და ნარკომანების", ამავე მუხლის პირველი ნაწილიდან — სიტყვები: „ან ნარკომანთა" და მეორე ნაწილიდან — სიტყვები: „და ნარკომანები".

4. „ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცების, უკანონო დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1969 წ., № 6, მუხ. 122) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1) პირველი მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაწესდეს, რომ პირი, რომელიც ხმარობს ნარკოტიკულ ნივთიერებას ექიმის დანიშნულების გარეშე, დაპატიმრებული იქნება ვადით ათიდან თხუთმეტ დღემდე ან დაჯარიმდება ორმოცდაათ მანეთამდე. მასალებს ასეთი დარღვევის შესახებ ერთი დღე-ღამის განმავლობაში განიხილავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების (სამმართველოს) უფროსი ან მისი მოადგილე, რომელიც ან დააჯარიმებს დამრღვევს ამ მუხლით გათვალისწინებული თანხის ოდენობით, ან გაუგზავნის მასალებს სახალხო სასამართლოს";

2) ბრძანებულების მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. არასრულწლოვანების მიერ, ექიმის დანიშნულების გარეშე, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის მათი მშობლები ან მათი შემცვლელი პირები პასუხს აგებენ არასრულწლოვანთა კომისიების შესახებ დებულების შესაბამისად".

5. „ნარკომანებისა და ქრონიკული ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1965 წ. № 30, მუხ. 628; 1969 წ. № 6, მუხ. 122; 1972 წ. № 6, მუხ. 97; 1973 წ. № 6, მუხ. 99) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ ბრძანებულების პირველ მუხლში აღნიშნული პირნი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით უნდა გაიგზავნონ სამკურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალო-შრომითს პროფილაქტორიუმში იძულებითი მკურნალობისათვის ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე".

6. „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1962 წ., № 11, მუხ. 159 და № 34, მუხ. 541; 1964 წ., № 4, მუხ. 80; 1966 წ. № 8, მუხ. 132; 1967 წ. № 6, მუხ. 350; 1968 წ. № 1, მუხ. 4 და № 2, მუხ 14; 1969 წ. № 10, მუხ. 182; 1970 წ. № 5, მუხ. 73; 1972 წ. № 8, მუხ. 164 და № 9, მუხ. 191; 1973 წ. № 9, მუხ. 176) მე-15 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვების „აგრეთვე ტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის" შემდეგ დაემატოს სიტყვები „ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისათვის".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 172 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს დამატება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლის პირველ ნაწილში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მომკვლევ პირს, გამომძიებელს, პროკურორს და სასამართლოს უფლება აქვთ მათ წარმოებაში არსებული საქმის გამო ამ კოდექსის დადგენილი წესით გამოიწვიონ ყოველი პირი დაკითხვისათვის — როგორც მოწმე, დაზარალებული ან დასკვნის მისაცემად, — როგორც ექსპერტი; მოსთხოვონ დაწესებულებას, საწარმოს, ორგანიზაციას, თანამდებობის პირს და მოქალაქეს წარმოადგინონ საგნები და დოკუმენტები, რომელთა საშუალებით შეიძლება საქმისათვის საჭირო ფაქტიური მონაცემების დადგენა; მოითხოვონ რევიზიის ჩატარება".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**173** „სასოფლო ამმასრულებელთა შესახებ“ სრულიად საქართველოს ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 დეკემბრის დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე

„სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთ გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 ივლისის № 604 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 დეკემბრის დადგენილება „სასოფლო ამმასრულებელთა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ., № 21, მუხ. 153).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**174** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს რუსუდან ალექსანდრეს ასული ჯაფარიძე, — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს მდივანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრად; ამასთან გათავისუფლდეს ამ მოვალეობისაგან ნელი ვლადიმერის ასული გურგენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**175** მიწის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების საქმეში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ „მიწების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების თაობაზე უკრაინის სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობის გამოცდილების შესახებ“ სსრ კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 12 მარტის დადგენილების და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების დადგენილებათა შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ მიწის დაცვის და რაციონალურად გამოყენების, ეროზიისაგან ნიადაგის დაცვისა და მიწათმოქმედების პროგრესული მეთოდების დანერგვის, თესლბრუნვის უფრო სრულად ათვისებისა და ყამირი და ნასვენი მიწების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩართვისათვის. მიმდინარე წელს ეს საკითხები განიხილეს ზესტაფონის, სამტრედიის, კასპის, ხობის, მესტიის, ბორჯომის, ლანჩხუთის, მცხეთის, ახალქალაქის და სხვა რაიონული და სასოფლო საბჭოების სესიებზე და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ; ამ მიმართებით გააქტიურდა სოფლის მეურნეობის, ბუნების დაცვის და სხვა მუდმივი კომისიების მუშაობაც.

1967-1973 წლებში რესპუბლიკაში გაშენებულ იქნა რვა ათასი ჰა მინდორსაცავი ტყის ზოლი; 18,5 ათას ჰექტარზე გატყევდა ხევები, ხრამები, მდინარეების ნაპირები და სხვა ეროზირებული ფართობები. მწყობრში ჩადგა ახალი სარწყავი არხები, სატუმბავი სადგურები, შენდება წყალსაცავები და სხვ. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონში სარწყავი მიწის ფართობი 1973-1974 წლებში გაიზარდა 223 ჰექტარით, ლანჩხუთის რაიონში ამოშრობილი მიწებისა — 413 ჰექტარით და სხვ.

გაუმჯობესდა ნასვენი მიწების ათვისება. 1974 წლის 1 სექტემბრისათვის რესპუბლიკაში ათვისებულია 2075 ჰა ნასვენი მიწა. აქედან სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 167 ჰა, ასპინძის რაიონში — 20 ჰა, ბოლნისის რაიონში — 150 ჰა, დმანისში — 19 ჰა, ვანში — 90 ჰა, ჭიათურაში — 38 ჰა, საჩხერეში — 50 ჰა, გეგეჭკორში — 37 ჰა, ცხაკაიაში — 94 ჰა და ა. შ.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, მიწის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, სერიოზულ ყურადღებას უთმობენ მიწის ფართობებზე კულტ-ტექნიკური სამუშაოების ორგანიზაციას. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ფონდს 1973 წელს შეემატა 35 ჰექტარი, ზედაპირული ქვებისაგან და ბუჩქნარებისაგან გაიწმინდა 91 ჰექტარი საძოვარი; ასევე კულტტექნიკური სამუშაოები ჩატარდა ხაშურის რაიონში 147 ჰექტარზე.

მეტი ყურადღება ექცევა მიწათსარგებლობის წესებისა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ნორმების დაცვას. 1973-1974 წლებში, მარტო თეთრი წყაროს, ლანჩხუთისა და ხაშურის რაიონების კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს ჩამოერთვათ 248.61 ჰექტარი ზედმეტად მითვისებული მიწის ფართობი

კარგი ინიციატივა გამოიჩინა სიღნაღის რაიონის ანაგის სასოფლო საბჭომ, რომელმაც ვალდებულება აიღო მიმდინარე წელს გამოავლინოს და კოლმეურნეობის სახნავი მიწის ფონდს მიუმატოს 40 ჰექტარი მიწის ფართობი და მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის ყველა სასოფლო საბჭოს — ფართოდ გაშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონ მუშაობა ახალი მიწების ათვისებისა და რაციონალურად გამოყენებისათვის.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიწის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების საქმეში გააჩნიათ მნიშვნელოვანი დარღვევები და ნაკლოვანებები.

ბევრ მეურნეობაში ნელი ტემპით ხორციელდება მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ღონისძიებები, ნიადაგის დამუშავების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების დანერგვა, სასუქების შეტანის სამუშაოები და მიწების ქიმიური მელიორაცია; ყოველთვის ეფექტიანად არ ხდება სარწყავი და ამოშრალი მიწების გამოყენება, ადგილი აქვს სახნავი მიწების ათვისების გეგმის შეუსრულებლობას და ნათესების ფართობის შემცირებას. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მთლიანად არ არის გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, მათ შორის სახნავი და სახნავად ვარგისი მიწები. აღნიშნულის შედეგად რესპუბლიკაში წლების მანძილზე ნასვენადაა 35-40 ათასი ჰექტარი მიწა.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვერ უზრუნველყვეს ნასვენი მიწების ათვისების 1973 წლის გეგმის შესრულება და ნაცვლად 10 ათასი ჰექტარისა აითვისეს 6,5 ათასი ჰექტარი.

ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ლაგოდეხის, წყალტუბოს, ხობის, დმანისის, ამბროლაურის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში.

არის შემთხვევები, როცა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ფართობი იზრდება, ხოლო მოსავლიანობა კი მცირდება. მაგალითად, ხაშურის რაიონის მეურნეობებმა 1973 წელს შაქრის ჭარხლის პლანტაციების ფართობი 1972 წელთან შედარებით 52 ჰექტარით გაზარდეს, მოსავალი კი 34,5 ათასი ცენტნერით ნაკლები მიიღეს.[1]

ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა წლითიწლობით არ ასრულებს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების, ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდრონაგებობათა მშენებლობის, ქარისა და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის, ნიადაგის რეკულტივაციის შესახებ და სხვა.

რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტრო, ორგანიზაცია და უწყება, რომლებმაც კარიერებისა და სხვა საჭიროებისათვის გამოიყენეს ნაყოფიერი მიწის ნაკვეთები, არ ღებულობს ზომებს ამ მიწების აღსადგენად და სოფლის მეურნეობის სამსახურში ჩასაყენებლად. ასე მაგალითად, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დღემდე არაფერი გაუკეთებია 92 ჰექტარი მიწის ფართობის აღსადგენად ლანჩხუთის რაიონში; საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს — 30 ჰექტარი მიწის აღსადგენად სამტრედიის რაიონში და 5 ჰექტარი მიწის აღსადგენად ხაშურის რაიონში; „საქთევზმრეწვს" — 52,37 ჰექტარი მიწის ფართობის აღსადგენად ლანჩხუთის რაიონში; საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, „საქსოფლტექნიკას" და „ცეკავშირს" არ აღუდგენიათ ასო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ჰექტარი მიწა გარდაბნის რაიონის ახალი სამგორის, გამარჯვების, გაჩია-ნის, მარტყოფისა და ნორიოს საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე. ყოველ-თვის არ ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვა არა-სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის მხოლოდ უვარგისი ან მცირეპროდუქ-ტიული მიწების გამოყოფის შესახებ. მაგალითად, 1972-1973 წლებში, არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მე-ურნეობების მიწის ფონდებიდან გამოიყო 5547 ჰა მიწა, მათ შორის 3016 ჰა სავარგული.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სერიოზული ნაკლოვანებები საკარმი-დამო მიწათსარგებლობაში. არის შემთხვევები, როცა მიწები ინდივიდუალური სარგებლობისათვის გამოყოფილი აქვთ ისეთ პირებს, რომლებსაც არაფერი აკავშირებთ კოლმეურნეობასა ან საბჭოთა მეურნეობასთან. მაგალითად, 1973 წელს ბორჯომის რაიონში 606 კომლი ნორმის გადამეტებით უკანონოდ ფლობ-და 35,29 ჰექტარ მიწას, ადიგენის რაიონში — 215 კომლი 24,89 ჰექტარს, ზუგ-დიდის რაიონში — 1567 კომლი 245,9 ჰექტარს, ცხინვალის რაიონში — 1272 კომლი 139,15 ჰექტარ მიწის ნაკვეთს, ხაშურის რაიონის სოფლებში: ჩუმათელეთში, იტრიასა და ბეკამში ჩამორთმეულ ზედმეტ მიწის ნაკვეთებს კვლავ ადრინდელი მეკომურები ფლობენ და მოსავალსაც ისინი იღებენ. უფრო მეტიც, ლანჩხუთის რაიონის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობაში 1974 წელს ზედმეტი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით მოსარგებლე მეკომურის რაოდე-ნობა 1973 წელთან შედარებით სამი ერთეულით გაიზარდა, ამასთან არის კო-მლების ფიქტიურად გაყოფის, კომლში უკანონო ჩაწერის, უკანონო მიშვილე-ბის ფაქტები და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედობანი.

მოუწესრიგებელია ჩამორთმეული ზედმეტი საკარმიდამო მიწის ნაკვეთე-ბის აღრიცხვის და დამუშავების, აგრეთვე ამ მიწებზე მიღებული მოსავლის საზოგადოებრივი მეურნეობის შემოსავლებში ჩარიცხვის საქმე.

მიწის დაცვასა და რაციონალურად გამოყენებაში არსებული სერიოზული დარღვევები შედეგია იმისა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების სამი-ნისტროები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 12 მარტის და-დგენილების და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო დადგენილებათა საფუძველზე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბ-ჭოებმა, შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა არსებითად გააუმჯობესონ მუშაობა მიწების დაცვისა და გამოყენებისათვის, რისთვისაც:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს:

ა) სისტემატურად შეისწავლონ მიწის რესურსების სრულად და რაციონა-ლურად გამოყენებისა და მათი ნაყოფიერების ამაღლების საკითხები და მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ მხრივ მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის;

ბ) სესიებზე, მუდმივი კომისიებისა და აღმასკომების სხდომებზე, საკავშირო ყრილობებზე სისტემატურად განიხილონ საკითხები ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მიწის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების, მიწათსარგებლობის წესებისა და კანონების დაცვის მდგომარეობის შესახებ; ამ მუშაობაში ფართოდ ჩააბან დეპუტატები და საბჭოთა აქტივი.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა გააძლიერონ კონტროლი თითოეული რაიონის მიწათსარგებლობის ყოველწლიური და პერსპექტიული განვითარების გეგმების შესრულებაზე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მიწის რესურსების სწორად და რაციონალურად გამოყენების, ნიადაგის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების საკითხებს.

3. დაევალოს სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ სამრეწველო და სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას, აგრეთვე ბუნებრივ სიმდიდრეთა საძიებო ორგანიზაციებს, ზუსტად და განუხრელად შეასრულონ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული მიწათსარგებლობის მოთხოვნები, განახორციელონ ნაკვეთების რეკულტივაციისათვის საჭირო ყველა ღონისძიება.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც აქვთ საუწყებო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები:

ა) აამაღლონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა პირადი პასუხისმგებლობა მიწების დაცვასა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებაზე, დაცვითი ტყის ნარგავების და ეროზიის საწინააღმდეგო ნაგებობათა მოვლა-პატრონობაზე.

მიიღონ გადამჭრელი ზომები ნასვენი და სხვა ახალი მიწების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩასართავად.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სხვა უწყებებმა და შესაბამისმა სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ მიწის ფონდის რაციონალურად გამოყენების, ნიადაგის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისა და ეროზიასთან წარმატებით ბრძოლისათვის საჭირო მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები და უზრუნველყონ უმოკლეს ვადაში მათი პრაქტიკულად დანერგვა.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტებმა, ადგილობრივმა პრესამ, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას" გამგეობამ და მისმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ფართო პროპაგანდისტული და ახსნა-განმარტებითი მუშაობა გასწიონ მიწის დაცვისა და რაციო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალურად გამოყენებისათვის. ამ საქმიანობაში ფართოდ ჩააბან მეცნიერები და სოფლის მეურნეობის მოწინავე სპეციალისტები.

7. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, რესპუბლიკის პროკურატურამ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები მიწის კანონმდებლობისა და მიწათსარგებლობის წესების დამრღვევთა მიმართ, გააძლიერონ მუშაობა ფართო მასებში მიწის შესახებ კანონის განსამარტავად.

8. მოწონებულ იქნეს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის სასოფლო საბჭოს ინიციატივა ახალი მიწების ათვისებისა და მათი რაციონალურად გამოყენებისათვის.

მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა, სასოფლო და სადაბო საბჭოებმა განიხილონ ანაგელთა მიმართვა, რომელიც გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პრესაში და მიიღონ კონკრეტული ზომები მიწების დაცვის და გამოყენების არსებითად გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 176 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის":

1. პეტრე მიხეილის ძე **ავეტისოვი** — ჭიათურის რაიკოოპერატივის მძღოლი.
2. შოთა ვასილის ძე **ბერიანიძე** — თბილისის მდინარე მტკვრის წყალმაშველი სადგურის უფროსი.
3. არკადი ადამის ძე **მირზოიანი** — თბილისის აეროპორტის ექსპედიტორის თანაშემწე.
4. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **შელატონოვი** — სამხედრო მოსამსახურე, მძღოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 177 საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში 25-ე მილიონი ტონა ფოლადის გამოდნობასთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება** მიენიჭოთ:

ფარნაოზ ივანეს ძე **ალადაშვილს** — მეტალურგიული ღუმელების შემკეთებელი საამქროს კალატოზს;

დავით ერასტის ძე **გაბიხიანს** — მარტენის საამქროს ჩასატვირთი მანქანის მემანქანეს;

ევგენი ნიკოლოზის ძე **ვორონკოვს** — მარტენის საამქროს ცვლის უფროსს;

ვასილ მალაქიას ძე **მაისურაძეს** — მარტენის საამქროს უფროს ჩამომსხმელს;

ვალიკო იოსების ძე **მიქავას** — მარტენის საამქროს ჩასატვირთი მანქანის მემანქანეს;

რომან არჩილის ძე **მჭედლიშვილს** — მარტენის საამქროს უფროს ჩამომსხმელს;

იოსებ ნიკოლოზის ძე **ნადირაშვილს** — მარტენის საამქროს მეფოლადეს;

ლევან ალექსის ძე **ნასყიდაშვილს** — მარტენის საამქროს ჩამომსხმელი ამწის მემანქანეს;

გიორგი ნიკოლოზის ძე **ჟუჟუნაშვილს** — მარტენის საამქროს მეფოლადეს;

ენველს შაქროს ძე **სარქისოვს** — მარტენის საამქროს მეფოლადეს;

მიხეილ პავლეს ძე **სპანდერაშვილს** — მარტენის საამქროს მეფოლადეს;

თეიმურაზ აკაკის ძე **ტაბიძეს** — მარტენის საამქროს უფროსის თანაშემწეს;

უშანგი ლეონტის ძე **ჩუბინიძეს** — მარტენის საამქროს მეფოლადეს;

ალიოშა კონსტანტინეს ძე **ციცვაძეს** — მარტენის საამქროს მეკაზმეთა ბრიგადირს;

სიმონ ბეროს ძე **წიკლაურს** — რკინიგზის საამქროს შემდგენელს;

სერგი მირონის ძე **ჭელიძეს** — მარტენის საამქროს ამწის მემანქანეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 12 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 178 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ბაკურიანში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:**

შოთა სიმონის ძე ავალიანს — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ № 1 კოლონის უფროსს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის:**

1. ისაკ ისაკის ძე **აგაპოვს** — „საქგეოლოგიის“ სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს ბრიგადირს.

2. გუგული პოლიკარპეს ძე **გაფრინდაშვილს** — ტრესტ „სოიუზლიფტმონტაჟის“ ამიერკავკასიის სამმართველოს ჭიათურის სამონტაჟო უბნის მემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირს.

3. მიხეილ პოლიკარპეს ძე **გაფრინდაშვილს** — ტრესტ „სოიუზლიფტმონტაჟის“ ამიერკავკასიის სამმართველოს ჭიათურის სამონტაჟო უბნის მემონტაჟეს.

4. ვაჟა დავითის ძე **ლომიძეს** — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ № 90 მექანიზებული კოლონის ელექტრომემონტაჟეს.

5. ვასილ გლახოს ძე **ნაბახტაველს** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო სამშენებლო ტრესტის № 243 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კალატოზს.

6. გურამ სოლომონის ძე **როსტიაშვილს** — „საქგეოლოგიის“ სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს შემდუღებელს.

7. მიხეილ ივანეს ძე **ტომილინს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის სამონტაჟო უბნის შემდუღებელს.

8. აბესალომ მიხეილის ძე **მალუტაშვილს** — ტრესტ „კომუნრემმშენის“ ბორჯომის სარემონტო-სამშენებლო უბნის სამუშაოთა მწარმოებელს.

9. ვლადიმერ არტემის ძე **ჯანაევს** — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ სამმართველოს ავტომანქანის მძღოლს.

**საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის**

ვლადიმერ ერმილეს ძე ჭანტურიას — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სპეციალური სამშენებლო-სამონტაჟო უბნის უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1974 წლის 13 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 179 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში 25-ე მილიონი ტონა ფოლადის გამოდნობას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

თარიმან არჩილის ძე **ბარბაქაძე** — მარტენის საამქროს უფროსი ოსტატი;

ჯემალ ვლადიმერის ძე **გვიმრაძე** — მარტენის საამქროს მეფოლადე;

ღვთისო ზაქარიას ძე **გაგელიძე** — მარტენის საამქროს ზეინკალთა ბრიგადირი;

გიორგი დიმიტრის ძე **გოგოლაძე** — მარტენის საამქროს მორიგე ელექტრიკოსი;

დავით ნიკოლოზის ძე **გოგოლაშვილი** — მარტენის საამქროს მეფოლადე;

თენგიზ დიმიტრის ძე **კატაშვილი** — მარტენის საამქროს ოსტატი;

გიორგი ვლადიმერის ძე **კვირიკაშვილი** — მარტენის საამქროს ჩამომსხმელი ამწის მემანქანე;

ვახტანგ დიმიტრის ძე **კოსმენაშვილი** — მარტენის საამქროს ელექტრიკოსთა ბრიგადირი;

სულიკო შალვას ძე **ლომიძე** — მარტენის საამქროს უფროსი მეკაზმე;

ოთარ ალექსანდრეს ძე **ლომიძე**—მარტენის საამქროს წარმოების ოსტატი;

ირაკლი ლევანის ძე **მენაბდე** — პენსიონერი, მარტენის საამქროს უბნის ყოფილი უფროსი;

გიორგი ნიკოლოზის ძე **მუხიგულაშვილი** — მარტენის საამქროს მეფოლადე;

შოთა ნიკოლოზის ძე **ნაცვლიშვილი** — მარტენის საამქროს უფროსი მეხანდაკე;

ტელმან ნიკოლოზის ძე **ნოზაძე** — მარტენის საამქროს მეფოლადის თანაშემწე;

გრიგოლ თევდორეს ძე **რადჩენკო** — მარტენის საამქროს უფროსის მოადგილე;

იოსებ გიორგის ძე **რაზმაძე** — მარტენის საამქროს ცვლის უფროსი;

იასონ ფილადის ძე **რიჟამაძე** — მარტენის საამქროს ოსტატი;

დავით სამსონის ძე **ქარსელაძე** — მარტენის საამქროს ზეინკალთა ბრიგადირი;

გიორგი ვარლამის ძე **ჩემია** — მარტენის საამქროს ოსტატი;

სიმონ ხარიტონის ძე **ჩერეპენიკოვი** — მარტენის საამქროს ღუმელების ოსტატი;

კესკინ ვარლამის ძე **ჭეიშვილი** — მარტენის საამქროს ჩასატვირთი მანქანის მემანქანე;

ილია იოსების ძე **ხარანაული** — მარტენის საამქროს მეფოლადე;

პავლე ტიმოთეს ძე **ხახაშვილი** — მარტენის საამქროს უფროსი ჩამომსხმელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 12 სექტემბერი.

# ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 180 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბაკურიანში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. გრიგოლ არტემის ძე **აკოფოვი** — გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" სპეცკორესპონდენტი.

2. ვალერი გივის ძე **ბაქრაძე** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

3. გიორგი ერასტის ძე **ბოკუჩავა** — „საქმთავარენერგოს" უფროსის ყოფილი მოადგილე, ამჟამად პენსიონერი.

4. უშანგი ნიკოლოზის ძე **გელაშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

5. იოსებ სპირიდონის ძე **კარკალაია** — „იუგენერგოჩერმეტის" თბილისის სამონტაჟო უბნის უფროსი.

6. გელა იურის ძე **კახრაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ტექმეთვალყურეობის ჯგუფის უფროსი.

7. ვახტანგ ივანეს ძე **მახარაძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი.

8. მერაბ ნიკოლოზის ძე **მღებრიშვილი** — საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

9. ვაჟა ივანეს ძე **რევაზიშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

10. ლევან გიორგის ძე **სანაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე.

11. გრიგოლ გრიგოლის ძე **სარალიძე** — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის" ლითონკონსტრუქციების ქარხნის დირექტორი.

12. ომარ ბორისის ძე **სიამაშვილი** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე.

13. ვიტალი გიორგის ძე **სმირნოვი** — ბაკურიანში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

14. ბადრი აგაბოს ძე **ტყეშელაშვილი** — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის" № 1 მექანიზირებული კოლონის ელექტროშემდუღებელი

15. სიმონ მიხეილის ძე **ქავთარაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. არჩილ ვასილის ძე ყარყარაშვილი — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სამმართველოს უფროსი.

17. შოთა ივანეს ძე ჭალაგანიძე — საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი.

18. გოდერძი პავლეს ძე ხაჩიძე — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის" № 90 მექანიზებული კოლონის ელექტრომემონტაჟე

19. ზურაბ ბესარიონის ძე ჯაფარიძე — გაზეთ „ლელოს" რედაქტორის მოადგილე.

20. ნოდარ კონსტანტინეს ძე ჯორჯიკია — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 13 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 181 აფხაზეთის ასსრ მხატვრული კოლექტივების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აფხაზური ხალხური ხელოვნების განვითარებასა და ფართო პროპაგანდაში დამსახურებისათვის, თბილისში აფხაზეთის კულტურის დღეების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით აფხაზეთის ასსრ მხატვრული კოლექტივები:

აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი.

აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა.

ხანდაზმულთა ეთნოგრაფიული ანსამბლი „ნარტაა".

გუდაუთის კულტურის სახლის ანსამბლი „რიცა".

აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის „ტრიო".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 18 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 182 გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქ. ჭიათურის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათი მობილიზაციის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმედი ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი" დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 20 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 183 პროფესორ კ. მ. ზარამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი კონსტანტინე მოსეს ძე ზარამიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 184 პროფესორ ლ. ე. გორგილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე პროფესორი ლეონიდე ერემიას ძე **გორგილაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 185 მწერალ მ. ნ. მრევლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი მიხეილ ნიკოლოზის ძე მრევლიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 186 ამხ. თ. გ. ფეოდოროვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. თამარ გრიგოლის ასული ფეოდოროვა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 187 კომპოზიტორ გ. გ. ცაბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, კომპოზიტორი გიორგი გაბრიელის ძე ცაბაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 188 მწერალ გ. მ. ცეცხლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, მწერალი გრიგოლ მოსეს ძე **ცეცხლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 189 პროფესორ ფ. ი. ხარშილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე პროფესორი ფილიპე ილარიონის ძე **ხარშილაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1974 წლის 30 სექტემბერი

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე განიხილა საკითხი ქალაქ ჭიათურაში, ბორჯომისა და სიღნაღის რაიონებში დიდი სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შესახებ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის თაობაზე და აღნიშნა, რომ ქალაქ ჭიათურაში, ბორჯომისა და სიღნაღის რაიონებში გარკვეული მუშაობა წარმოებს სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის კანონით დაწესებული შეღავათების განხორციელებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარდება ღონისძიებანი სამამულო ომის ინვალიდების საწარმოო პროფესიების დაუფლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; მათი უმრავლესობა ჩაბმულია შრომით საქმიანობაში. აღმასკომები, შესაძლებლობის ფარგლებში, ომის ინვალიდებსა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს აძლევენ ბინებს, სესხს ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, ამარაგებენ დეფიციტური სამშენებლო მასალით და სხვა. დაცულია მოქმედი კანონმდებლობა ომის ინვალიდებისათვის გადასახადებზე შეღავათების დაწესებისა და მათთვის უფასო სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფის შესახებ. თითქმის ყველა სასოფლო საბჭოში ან კოლმეურნეობაში მოწყობილია ომში დაღუპულთა სტენდები, შინმოუსვლელთა სახელზე გაშენებულია პარკები და ხეივნები.

აღმასკომების ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოები გარკვეულ მუშაობას ატარებენ სამამულო ომის ინვალიდების სამედიცინო მომსახურებისათვის. ყოველწლიურად ხდება მათი ჯანმრთელობის კომპლექსური შემოწმება, გაგზავნა კურორტებზე, მომარაგება მედიკამენტებით შეღავათიან ფასებში და სხვ.

ამასთან, ზემოაღნიშნული ქალაქისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საწარმო-დაწესებულებები არ ატარებენ ყველა მათზე დამოკიდებულ ღონისძიებას სამამულო ომის ინვალიდებისათვის დაწესებული შეღავათების განსახორციელებლად.

საბჭოს სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე იშვიათად იხილება საკითხები იმ საკანონმდებლო აქტებისა და მთავრობის დადგენილებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, რომლებიც ეხება სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას. მოსახლეობაში არ ტარდება ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული კანონმდებლობის გასაცნობად, არ წარმოებს ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრთა საყოფაცხოვრებო პირობებისა და სხვა საკითხების ინდივიდუალური შესწავლა. ამ საქმიანობაში ჩაბმული არ არიან საბჭოს დეპუტატები, აქტივი და სამხედრო კომისარიატებთან არსებული საპენსიო საყოფაცხოვრებო საბჭოს სექციები.

სერიოზული ნაკლოვანებებია ომის ინვალიდთა სამედიცინო მომსახურების საქმეში. ქ. ჭიათურაში აღრიცხულ ომის ინვალიდთა 23 პროცენტს არ გაუვლია კომპლექსური სამედიცინო შემოწმება, ხოლო სტაციონარული მკურნალობა — 25 პროცენტს. სიღნაღის რაიონში სტაციონარული მკურნალობა ჩაუტარდა ომის ინვალიდების მხოლოდ 60,3 პროცენტს. ამ რაიონის სოფელ საქობოს საექიმო პუნქტში აღრიცხული 38 ომის ინვალიდიდან კომპლექსური საექიმო შემოწმება არ გაუვლია 11 პირს.

ბორჯომის რაიონში ჯერ კიდევ მოუგვარებელია იმ პირთა აღრიცხვა, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო მომსახურებას; ამავე რაიონში, მიუხედავად შესაძლებლობისა, ომის 8 ინვალიდიდან, რომლებიც საჭიროებდნენ სანატორიულ მკურნალობას, 1973-74 წლებში არც ერთს არ მიუღია სანატორიუმის საგზური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელებულ ქალაქსა და რაიონებში მოგვარებული არ არის ომის ინვალიდების ავტომანქანებისა და მოტოეტლების სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საქმე.

სერიოზული ნაკლოვანებებია ქ. ბორჯომში სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრების ბინით უზრუნველყოფის საქმეში.

სუსტია პროკურატურის ადგილობრივი ორგანოების კონტროლი სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრთა მიმართ მოქმედი კანონმდებლობის შესრულებისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების ჭიათურის საქალაქო, სიღნაღისა და ბორჯომის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

საბჭოს სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ საკითხი დიდი სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შესახებ კანონმდებლობის შესრულების თაობაზე;

საბჭოს დეპუტატების, აქტივისა და რაიონის სამხედრო კომისარიატების წარმომადგენლების მონაწილეობით პერსონალურად შეისწავლონ თითოეული სამამულო ომის ინვალიდისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები და მიიღონ ზომები მათ კანონიერ მოთხოვნათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის;

ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების საშუალებით უახლოეს პერიოდში ჩაატარონ სამამულო ომის ყველა ინვალიდის კომპლექსური სამედიცინო შემოწმება და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ მათი სტაციონარული მკურნალობა;

ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1975 წლის 1 ივლისს.

სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაევალა დადგენილების შესაბამისად, უზრუნველყოს სათადარიგო ნაწილებით ომის ის ინვალიდები, რომლებსაც მიღებული აქვთ ავტომანქანები და მოტოეტლები.

საქართველოს სსრ პროკურატურას რჩევა მიეცა გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შესახებ კანონმდებლობის შესრულებაზე.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალათ მიიღონ ზომები ომის ინვალიდებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის დაწესებული შეღავათების განსახორციელებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც იმავე სხდომაზე მოისმინა საკითხი ქალაქ რუსთავში მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების, აგრეთვე ორსული ქალებისათვის კანონით დაწესებული შეღავათების განხორციელების მდგომარეობის შესახებ, აღნიშნა რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებების შესაბამისად გარკვეული ღონისძიებებია გატარებული ქალაქ რუსთავის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებსა და სხვა ობიექტებზე დასაქმებული მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების, აგრეთვე ორსული ქალების სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დროულად წარმოებს როგორც ერთდროული, ისე ყოველთვიური სახელმწიფო ფულადი დახმარების დანიშვნა და გაცემა. ასევე თავის დროზე ხდება დედების მთავრობის შესაბამის ჯილდოებზე წარდგენა და მათთვის ორდენებისა და მედლების ჩაბარება. ყურადღება ექცევა მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების, აგრეთვე ორსული ქალებისათვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნას, დღის ცვლაში და მსუბუქ სამუშაოზე მოწყობას და სხვა. დედებსა და ბავშვებს ეძლევათ საგზურები სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, — ფულადი დახმარებაც.

გასულ წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია დედათა და ბავშვთა მკურნალობის საქმეც, რის შედეგადაც ქალაქში ბავშვთა სიკვდილიანობა, რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, ერთიორადაა შემცირებული.

ამასთან ერთად რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო, წარმოება-დაწესებულებებისა და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები სათანადო დაინტერესებას არ იჩენენ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების, აგრეთვე ორსული ქალებისათვის დაწესებული შეღავათების განხორციელებისათვის, მათი სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

აღრიცხული არ არის საწარმოებში მომუშავე მრავალშვილიანი დედები და ორსული ქალები. ასევე არ არის მოწყობილი ფოტოსტენდი იმ მოწინავე დედებისა, რომლებიც პატიოსნად ზრდიან შვილებს და აქტიურად შრომობენ.

ადგილობრივი პრესა და რადიო ნაკლებად აშუქებენ გმირი და მრავალშვილიანი დედების საქმიანობას და ცხოვრებას.

ქალაქის უმეტეს საწარმოში დედებს არა აქვთ შექმნილი ელემენტარული პირობები ნორმალური მუშაობისათვის, არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმატივები.

ბევრ მრავალშვილიან, მათ შორის გმირ დედას, ცუდ საბინაო პირობებში უხდება ცხოვრება.

არსებული სამკურნალო დაწესებულებები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებენ დედათა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურებას, ქალაქში არის ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად-ერთი 150 საწოლიანი სამშობიარო სახლი, რომელიც მუდამ გადატვირთულია, ხოლო ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო მოთავსებულია ბარაკის ტიპის სრულიად შეუფერებელ შენობაში. ადგილების სიმცირის გამო შეზღუდულია ერთ წლამდე ასაკის ბავშვების მოწყობა საბავშვო ბაგებში.

სკოლების უმრავლესობაში მეცადინეობა მეორე და მესამე ცვლაშია. ამასთან, ქ. რუსთავში მეორე-მესამე ცვლაში პროცენტულად ორჯერ მეტი ბავშვი მეცადინეობს, ვიდრე მთელს რესპუბლიკაში საშუალოდ.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას ბავშვთა კვების საქმეც. უკვე ორი თვეა, რაც სარძეო სამზარეულო დაკეტილია. სავაჭრო ქსელი ცუდად მარაგდება ერთ წლამდე ბავშვთა კვებისათვის საჭირო პროდუქტებით. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა კვების საქმეს სკოლებში. ყოველ 1000 მოსწავლეზე ნაცვლად 250-ისა 50 დასაჯდომი ადგილია.

ქალაქის რიგ საწარმოში ნაკლები ყურადღება ექცევა ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის საკითხებს, რის შედეგადაც ხშირია დედათა და საერთოდ ქალთა საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევები.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ქალთა საბჭოები არ ატარებენ სათანადო აღმზრდელობით მუშაობას მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს შორის, რის გამო არც თუ იშვიათია მათ მიერ წესრიგისა და სამუშაო-საყოფაცხოვრებო ნორმების უხეშად დარღვევის შემთხვევები.

ამ საქმეში ნაკლებად არიან ჩაბმული საქალაქო საბჭოს დეპუტატები, საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიები, აქტივი. აღნიშნული საკითხი არ გაუხდია მსჯელობის საგნად არც აღმასკომს და არც სესიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უახლოეს დროში დასახოს და გაატაროს კონკრეტული ღონისძიებანი მრავალშვილიან, მარტოხელა და საერთოდ ქალაქებისათვის კანონით დაწესებული შეღავათების განსახორციელებლად, რისთვისაც:

პერიოდულად შეამოწმოს და აღმასკომისა და საბჭოს მსჯელობის საგანი გახადოს სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებში და სამშენებლო ობიექტებზე მომუშავე ქალთა და, პირველ რიგში, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების, აგრეთვე ორსული ქალების სამუშაო და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები; ამ საქმეში ფართოდ ჩააბას საქალაქო საბჭოს დეპუტატები და აქტივი;

გაზარდოს მომთხოვნელობა ქალაქის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებისადმი იქ მომუშავე მრავალწლიანი და, პირველ რიგში, გმირი დედების საბინაო საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით. მათთვის მატერიალური დახმარების გასაწევად უფრო მეტად გამოიყენონ სახსრები დირექტორის ფონდიდან და სხვა საშუალებანი;

სისტემატური კონტროლი და მეთვალყურეობა დააწესოს წარმოებაში ქალებისათვის შრომის ნორმალური პირობების შესაქმნელად; დაავალდებულოს საწარმოთა ხელმძღვანელები, უზრუნველყონ მათთან მომუშავე ქალები საჭირო სპეცტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ჩაფხუტებით; ამასთან მიიღონ ყველა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქირო ზომა სამრეწველო და სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკური უსაფრთხოების წესების განუხრელად დაცვისათვის;

უზრუნველყოს, რომ წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელები მტკიცედ ატარებდნენ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის, აგრეთვე ორსული ქალებისათვის კანონით დაწესებულ შეღავათებს, როგორიცაა: დედებისა და ორსული ქალების მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანა ხელფასის შენარჩუნებით, ღამის ცვლისაგან განთავისუფლება, მშობიარობის დროს ფასიანი და უფასო შვებულებების მიცემა და სხვ.;

მეტი ყურადღება მიაქციოს დედათა და ბავშვთა მკურნალობისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. მიიღოს ზომები დედათა და ბავშვთა სამკურნალო დაწესებულებების მუშაობის არსებითად გაუმჯობესების, ერთ წლამდე ასაკის ბავშვთათვის კვების პროდუქტებით ვაჭრობის და სასკოლო ბუფეტებში მოსწავლეთა კვების უკეთ ორგანიზაციისათვის;

ქალთა საბჭოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, საქალაქო საბჭოს დეპუტატებისა და აქტივის დახმარებით გააძლიეროს აღმზრდელობითი მუშაობა დედებს შორის; პერიოდულად ჩაატარონ მათთვის საუბრები კანონმდებლობის სხვადასხვა საკითხებზე, პედაგოგიური კითხვები, შეხვედრები წარმოების და კულტურის დარგის გამოჩენილ ადამიანებთან და სხვ.;

გააუმჯობესოს მრავალშვილიანი დედების პოპულარიზაციის საქმე წარმოებებსა და საზოგადოებრიობის თავშეყრის ადგილებში. მოაწყოს სტენდები იმ მრავალშვილიანი დედებისა, რომლებიც კეთილსინდისიერად ზრდიან შვილებს, შრომობენ საწარმოებში. უზრუნველყოს, რომ საქალაქო გაზეთი და რადიომაუწყებლობა მეტად აშუქებდნენ გმირი და მრავალშვილიანი დედების ცხოვრებასა და შრომას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალოს შეისწავლოს და განახორციელოს ყველა აუცილებელი ღონისძიება რუსთავში სამშობიარო სახლებისა და ბავშვთა სამკურნალო დაწესებულებების გაფართოებისა და მათი მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დაევალოს შეისწავლოს და დასახოს კონკრეტული ღონისძიებები რუსთავში ბავშვთა კვების პროდუქტებით ვაჭრობის და სასკოლო ბუფეტების მუშაობის უკეთ მოწყობისათვის.

რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ უნდა წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1975 წლის სექტემბრის ბოლოს.